

დნმ კვადრუპლექსების სტოქიომეტრიული და თერმოდინამიკური
კვლევა პორფირინის თანაობისას


მარიამ ზაზაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტზე მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ფიზიკისა და ასტრონომიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნუნუ მეტრეველი, დოქტორი

თანახელმძღვანელი: დავით ხუციშვილი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესახებ.

მარიამ ზაზაძე

22/06/2021

აბსტრაქტი

გუანინით მდიდარი ნუკლეინის მჟავების თანმიმდევრობებისგან წარმოქმნილი კვადრუპლექსური სტრუქტურები დიდი ხანია არის ბიოფიზიკოსთა კვლევის საგანი. განსაკუთრებულ ინტერესს კი იწვევს მცირე მოლეკულური ლიგანდების ურთიერთქმედება დნმ კვადრუპლექსებთან, მათი შემდგომი გამოყენების მიზნით. კვადრუპლექსის შემაერთებელი / შემკვრელების 23 მთავარი კლასიდან ერთ - ერთი არის პორფირინი -უჯრედის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პიგმენტი. კვადრუპლექს/პორფირინი კომპლექსი საინტერესოა როგორც ბიოტექნოლოგიური ასევე სამედიცინო ტექნოლოგიური თვალსაზრისით. წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია დნმ კვადრუპლექსების სტოქიომეტრიული და თერმოდინამიკური შესწავლა პორფირინის თანაობისას. წინამდებარე კვლევა ხელს შეუწყობს პორფირინებისა და დნმ კვადრუპლექსების ურთიერთქმედების უკეთ გარკვევას.

მადლობა

მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებს თანადგომისათვის;

მადლობა ჩემს ხელმძღვანელს, პროფესორ ნუნუ მეტრეველს. მისი კრიტიკული მოსაზრებები უმნიშვნელოვანესი იყო ნაშრომზე მუშაობის პროცესში. მის მიერ გაწეულმა რეკომენდაციებმა მომცა საფუძველი იმ მიგნებებისა, რამაც კვლევა რელევანტური გახადა.

ასევე, მადლობას ვუხდი ჩემს თანახელმძღვანელს, დავით ხუციშვილს გაწეული დახმარებისთვის.